J3697
3

ი. პ. როსტომაშვილის სახალხო და საყმაწვილო გამოცემა
1910 წ. № 8.

ალავერდელ ბალახის
თესვა-მოყვანა.

ივანე როსტომაშვილისა

ტფილისი
ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“, მადათ. კუნძული.
1910

შესავალი.

უმთავრესი ნაკლი ჩვენი მეურნეობისა არის სიმცირე საბალახე ადგილებისა, ე. ი. საძოვრებისა და სათიბებისა. განსაკუთრებით საგრძნობელია ეს ნაკლი გლეხებისათვის, რადგან ამათ ცოტა აქვთ მიწები და თავად-აზნაურებს-კი კიდევ არა უშავთ-რა, თუმცა არც ესენი არიან მდიდრები ამ გვარი ადგილებით. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში მეტად ნაკლებათ ჰყავთ საქონელი და რაც ჰყავთ, ისიც წვრილი, გალეული და მცირედის მეწველი. ხოლო პირ-და-პირი შედეგი ყველა ამისა არის სიმცირე ნეხვისა, გაუსუქებლობა მამულისა და მცირე-მოსავლიანობა ჭირნახულისა.

ადვილი არ არის თავი დაახწიოს ადამიანმა ამისთანა შემავიწროებელ გარემოებას, მაგრამ საშველი მაინც არის. იყო დრო, როცა სხვა ქვეყნებიც სწორედ ჩვენს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ე. ი. ჩვენს მსგავსად ისინიც გაუთავებლად სულ ხნავდნენ და ხნავდნენ თავიანთ მიწებს, სანამ სრულიად უთივოდ და უბალახოდ არ დარჩნენ. მაგრამ, ჰპოვეს საშველი ამ გაჭირვებიდამ გამოსახსნელი: ეს იყო **თესვა სახნავ მიწებში საქონლისათვის საჭირო ბალახებისა**, ე. ი. თუ აქამდის საძოვრებს და სათიბებს ხნავდნენ და პურს სთესავდნენ, ახლა, პირიქით, დაიწყეს სახნავებისა და საყანე ადგილების **საძოვრებად და სათიბებად დამუშავება** და დიდი ხეირიც ნახა ყველამ. ასე და ამ გვარად დაიბადა **თესვა-მოყვანა ბალახებისა**, რომელმაც ჭეშმარიტად ბევრი ქვეყანა დაიხსნა სრული განადგურებისაგან.

ბალახების თესვა-მოყვანის სარგებლობა მდგომარეობს შემდეგში:

1) დათესილი ბალახები იძლევიან გაცილებით მეტს მოსავალს ბალახისას, ვიდრე ბუნებრივი საძოვრები და სათიბები. მაგალითად, დათესილი ალავერდა-ბალახი (ლიუცერნა) დღიურზე მოგვცემს, სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, 200 ფუთს კარგს თივას და ბუნებრივ სათიბებზე-კი ამოდენა თივას ვერც ექვსი დღიური მოგვცემს! ეს ცოტაა: ამ ექვს დღიურს ბუნებრივ სათიბს ერთი მცელავი ვერ გასთიბავს 15 დღეშიაც და ერთს დღიურს დათესილს ბალახს-კი 18 იგივე მცელავი სულ ადვილად მოსთიბავს ორიოდე დღეში. გამოდის, რომ ბალახის თესვა-მოყვანა ბალახსაც მეტს გვაძლევს და მის გათიბვასაც ბევრად ნაკლები დრო უნდა.

2) ბალახებით დათესილი მინდვრები, შემდეგ გადახვნისა, უსასუქოთაც მშვენიერს მოსავალს იძლევიან ჭირნახულისას. ეს იმიტომა, რომ საკვები ბალახები უშვებენ თავიანთ ძირ-ფესვებს მეტად ღრმად მიწაში, როგორც, მაგალითად, იგივე ალავერდა-ბალახი, რომელიც უშვებს ძირ-ფესვებს 4—7 საჟენზე სიღრმით, და ამიტომ, საზრდოობენ ნიადაგის ქვემო ნაწილებიდან.

3) რომ მამული კარგად შევიმუშავოთ და გავაპოხიერთ კიდეც, უთუოდ საჭიროა, რომ საკმაო, ღონიერი და კარგად მოვლილი საქონელა გვყავდეს. ხოლო, რადგანაც, ამ ღონეს საქონელი იღებს საკვებიდან, გამოდის, რომ თუ გვინდა მამული კარგად შევიმუშაოდ და კარგი ჯანიანი საქონელიც გვყანდეს, უთუოდ საჭიროა, რომ ამ საქონლისათვის საჭირო საკვებიც ბლომად და საკმაოდ გვქონდეს; გამოდის, რომ თუ ჩვენ საკმაოდ არა გვაქვს საქონლისათვის საჭირო საკვები, ჩვენ არც საკმაო და ხეირიანი საქონელი გვეყოლება, არც რძე და ერბო გვექნება და არც ნეხვი.

კარგად ვიცით, რომ მეურნეობაში ყველაფერი მჭიდროდ არის ერთი-ერთმანეთთან შეკავშირებული და ამიტომ ძნელია, უკვე არსებულის მეურნეობის წესის ერთბაშად დარღვევა, შეცვლა, მაგრამ ჩვენი ვალია, ნელ-ნელა და შეუ-

მჩნევლად გავაუმჯობესოთ ეს წესები, რომ მამული უკეთესათაც შევიმუშაოთ და უკეთესათაც გავასუქოთ.

ყველაზე წინ კი საჭიროა ვისწავლოთ საქონლის წესიერად ტარება საძოვარზე და საბალახოებზე, საჭირთა კარგად დავიხსომოთ, რომ არასოდეს არ უნდა ვამოვუშვათ საქონელი საძოვრებზე და სათიბებზე ადრე გაზაფხულზედ, ე. ი., სანამ იქ ბალახი საკმაოდ არ აწეულა, არ გაზრდილა. ჩვენ კი სწორედ ამ დროს არა გვაქვს ხოლმე საქონლისათვის საჭირო საკვები! მაშ რა ვქნათ? შიმშილით ხომ ვერ ამოვწყვეტავთ საქონელს!? ერთი საშუალებაა: უნდა იმდენი საკვები შევამზადოთ ხოლმე, რომ გაგვწდეს იგი გაზაფხულის ნახევრობამდინა და მით იძულებულნი არ ვიყვნეთ საქონელი ადრე გავიყვანოთ საძოვრებზე და სათიბებზე...

ხოლო ამისთვის საჭიროა კარგად და სამუდამოდ დავიხსომოთ შემდეგი: საკმაო და ხეირიანი საკვების შესამზადებლად საქონლისათვის უნდა ვიზრუნოთ თივის დიდ მოსავლიან წლებში, როდესაც თითქმის ფასი არ აძევს თივას ან სხვა რომელიმე საკვებს. ჩვენში ჩვეულებრივი მოვლენაა საკვების სიცოტავისა. თითქმის სოფლებშიაც იშვიათად არის ხოლმე, რომ ფუთი თივა 20—25 კაპეიკზე ნაკლებ იყოს და ხშირად 40—50 კაპეიკამდინაც აიწევს ხოლმე. ყოფილა ისეთი მაგალითებიც, რომ ფუთი თივა მანეთად გაყიდულა და ხშირად გაზაფხულზე ჩალის თუ ნამჯის სახურავებიც აუშლიათ, რომ როგორმე გამოჰკვებონ საქონელი, სანამ მინდორში ბალახი თავს ამოჰყოფდეს და უმოსავლო წლებში ხომ ჯერ შემოდგომაზედვე ჰყიდიან თვით საქონელს ყოვლად უფასოდ, რადგანაც არა აქვთ მათთვის საკვები. მოსავლიან წლებში-კი ამავე საკვებს უფასოთა ვყრით! თქმა არ უნდა, რომ ამგვარს გარემოებაში უადგილო იქნება ლაპარაკი მამულის კარგად დამუშავებაზე და გაპოხიერებაზე. მაშ ეგრე: ჩვენ უნდა ვილონოთ ყოველი საშუალება, რომ საქონლისათვის მარად საკმაო და კარგი საკვები გვქონდეს! ამისათვის საჭიროა შემ-

ზადება ამ საკვებისა დიდ-მოსავლიან წლებში. ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ვსთქვათ მეორეზედაც.

უნდა ვეცადოთ, სადაც კი არის და ვისაც აქვს სათიბები, ისე მოვუაროთ და იმდენად გავაუკეთესოთ, რომ დღიური გვაძლევდეს არა 30—50 ფუთს უყუათო თივასა, არამედ 200—300 ფუთს ტკბილ და ჩვილ თივასაა. წარმოსდგება ეს იქიდამ, რომ ჩვენ სრულებით არ ვიცით და არც ვზრუნავთ სათიბების მოვლას. როგორც ცუდად მოვლილი ყანა გვაძლევს მხოლოდ ჩალა-ბულას, სწორედ აგრეთვე, მოუვლელი სათიბები კარგი თივის მაგიერ მუდამ მხოლოდ ეკალსა და უნოყივრო ბალახს იძლევა, მაშინ როდესაც, წესიერად რომ მოვუაროთ ჩვენს სათიბებს, 200—300 ფუთს თივასაც მოგვცემენ დღიურზე!.. ახლა, რაში მდგომარეობს ეს წესიერი მოვლა-პატრონობა სათიბებისა? წყლის პირა კორდები თითქმის მუდამ კარგს მოსავალს იძლევიან თივისას. ეს იმიტომ, რომ ესენი მდებარეობენ მდინარეებისა და ფშების ნაპირად, რომლებიც არ აკლებენ მათ საჭირო სინესტეს, ხოლო, წყალ-დიდობას სულ წყლითაც ავსებენ მათ და ამ დროს სტოვებენ კორდებზე ლამსა, რომელიც ძლიერ აპოხიერებს მათ. ჩვენში-კი, რამდენია მაგალითი, რომ ამისთანა მშვენიერი სათიბები სრულიად მიტოვებული. მოკლებულია პატრონისაგან გონიერს მოვლასა და ამიტომ სრულიათაც ფუჭდებიან და ვერანდებიან! აქ იზრდება მაშინ ყოველ-გვარი ეკლიანი ბუჩქები და ივსება ბეგობებით, ხავსით და სხვა უვარგისი ბალახ-ბულახით, რომლებსაც პირსაც არ ახლებს საქონელი.

ხოლო, ფუჭდება ამ გვარი კორდები ყველაზე მეტად იმისაგან, რომ გაზაფხულზე მეტად ადრე ვუშვებთ მასზე საქონელს. რა წამსაც ჩამოდნება უკანასკნელი თოვლი და ბალახი ამოჰყოფს თავს, ჩვენი უზრუნველი მეურნე უშვებს იქ დამშეულ საქონელს და ისიც ხარბად სძიძგნის ნორჩ ბალახ-

სა და თითქმის ძირიანად აგდებს მას, რისგამოც კარგი ბალახი თამამად ველარ იზრდება და ცუდი ბალახები-კი, რომლებსაც საქონელი პირს არ ახლებს, თავისუფლად იშლებიან და რასაკვირველია, სჩაგრავენ და სჯაბნიან თავიანთ მოკორტნილ მეზობლებს. ეს არის პირველი მიზეზი, რომ ამ გვარი კორდები იმის ნახევარსაც არ იძლევიან, რასაც უეჭველად მოიცემოდნენ ისისი, რომ ასე ადრე არ შეგვეშვა შიგ საქონელი.

უფრო დიდი ვნება ეძლევა ამ გვარ კორდებს იმისაგან, რომ ადრე გაზაფხულზედ სათიბებზე გამოშვებული საქონელი, როდესაც მიწა საკმაოდ რბილი და ნესტიანია, ძალზედ სტკეპნის და სთელავს მათ. ამავე მიზეზით არ ვარგა შეშვება საქონლისა ამ გვარს კორდებში შემოდგომის გასულზე და გათიბვის შემდეგ, რადგან ეს უბრალო მიზეზები ანახევრებენ სათიბების მოსავალს და თითქმის სრულიათაც ანადგურებენ მათ.

გარდა მოხსენებული წესების შემოღებისა, საჭაროა ძირიანად ამოვაგდოთ სათიბებში ყოველგვარი ბუჩქები, ბეგობები, უვარგისი ბალახები, დიდრონი ქვები და სხვ., ერთი სიტყვით, შევინახოთ კორდები ისე წმინდად, რომ მათში იზრდებოდეს მხოლოდ ის ბალახები, რომლებიც სასურველი და გავაკეთოთ ჩვენთვის. ყველაფერი ეს უმჯობესია მოვიქმედოთ შემოდგომით. სხვილ შეშას და ფიჩხს., რასაკვირველია, შინ დასაწვავად მოიხმარებთ და ველაფერს დანარჩენს კი დააგროვებთ მოხერხებულ ადგილას, დასწვავთ და მის ნაცარს-კი თანასწორად მოაბნევთ მთელ კორდზე, ანუ ყოველ წლივ ხოლო მის უწყებულ ნაწილზე.

რაც შეეხება მწვანე ბალახიან ბეგობებს (ამობურთუ-ლებს), ყველა ესენი უნდა მოსთალოთ ბარით ანუ გუთნით, გაახმოთ, შემდეგ მოაგროვოთ, დასწვათ და ნაცარი ისევ სათიბს მოაყაროთ. საზოგადოთ უნდა ეცადოთ, რომ ზედა-პი-

რი სათიბებისა ყველგან იყოს სწორი, ვითარცა ხელის გულ, არა ჰქონდეს ორმოები, რომლებიც მიწით უნდა ამოავსოთ და ზედ მოაბნიოთ საკვები ბალახების თესლი და თუ წყალი დგას შიგა, ისევ ან მიწით ამოავსოთ და ანუ არხის გათხრით ამოაშროთ. თუ ვანიცობაა ნიადვარმა ჩათხარა სადმე თქვენი კორდი, დაუყოვნებლივ გარდიგარდმო ღობეები უნდა გააკეთოთ შიგ ამ თხრილებში, ერთმანეთზე 20—30 საჟენზე დაშორებით, ზედ მიაყაროთ ნეხვი ანუ ბალახ-ბულახი და მათ ზევით კიდევ ბელტები დააწყოთ და ანუ ქვები დააყაროთ. ამ გვარად გადალობილი ჩათხრილები ნიადვრებში ხელ-ახლად მიწით ამოივსება და კორდი აღარ გაგიფუჭდებათ.

მორწყვა სათიბებისა დიდად სასარგებლოა, ორჯელ მაინც წელიწადში, შუა გაზაფხულზე და მის გასულს, როცა ბალახი უმეტესად იყრის ტანს. ეს გარემოება უნდა მარად ახსოვდეს კარგ მეურნეს და სადაც იქნება და რითაც იქნება იშოვოს ხოლმე მოსარწყავი წყალი. სადაც შესაძლებელია მდინარეებიდამ და ტბებიდამ არხები უნდა გამოიყვანოთ, ხოლო სადაც ეს არ შეიძლება, ხელოვნური გუბეები და ტბები უნდა გააკეთოთ მთების ხევებისა და ღელეების გვერდით, სადაც საკმაოდ დაგუბდება წვიმის და თოვლის წყალი და შემდეგ აქედამ გაიყვანთ არხებს და მორწყავთ, როგორც სათიბებს, ისე სხვა ჭირნახულსა. ახლა კი ასე უბარაქოდ ღლუპება იმოდენა თოვლის წვიმების წყალი!

ამ გვარი დაგუბებული წყლის სარგებლობა ნათლად დაამტკიცეს რუსეთის ზოგიერთმა მემამულეებმა—ჟერებცოვმა, შუვალოვისამ, არისტოვმა, შვერლინგმა და სხვებმა. ჟერებცოვმა, მაგალითად, გააკეთა ამ გვარი საგუბრები სამს ღელეში, დონეცის მაზრაში. ერთს მათგანს (საგუბარს) უჭირავს 150 დღიური ორმო, რომელშიაც გუბდება 215000 კუბიკური საჟენი წყალი და რწყავს 800 დღიურ მიწას; ამ საგუბრის კედლის სიგრძე არის 360 საჟენი, სიმაღლე—4½

და სიგანე—ძირში 21. ხოლო თავში—4 საჟენი; მეორე საგუბარს უპირავს 120 დღიური ადგილი, რომელშიაც დაგუბებულია 185000 კუბიკური საჟენი წყალი და რწყავს 900 დღიურსა; ამ საგუბრის კედლის სიგრძე არის 100 საჟენი, სიმაღლე 7 და სიგანე—ძირში 30, ხოლო თავში 3 საჟენი; მესამე საგუბარს უპირავს 200 დღიური, რომელშიაც დაგუბებულია 300000 კუბიკური საჟენი წყალი და რწყავს 700 დღიურსა; ამ საგუბრის კედლის სიგრძე არის 225 საჟენი, სიმაღლე—6 და სიგანე—ძირში 40, ხოლო ზევით 4 საჟენი. კედლები საგუბრებს გაკეთებული აქვთ იმავე მიწით (თიხით), რომელიც ამოღებულია აქვე საგუბრებიდამ, რისგამოც თითონ საგუბრებიც ფართოები გამოვიდა. ეს საგუბრები წარმოადგენენ ნამდვილს ტბებს, ქარში ღელავენ, როგორც ბუნებრივი ტბები და ხშირად საჟენიან ტალღებსაც ისვრიან. წყლის საღინრად საგუბრებს კედლებში ჩატანებული აქვთ თუჯის მილები, სისქით ერთი გოჯი, თითონ გასადინარის სიგანე-კი ერთი ფუტია. მილი დატანებული აქვს ძირიდან $1\frac{1}{2}$ საჟენზე (ზევით). გამონადენ წყალს ქვეშ უდგას დიდი ხის ყუთი, რომ წყალმა ძირი არ გამოუთხაროს კედელს. გამოანგარიშებულია, რომ თითო დღიურის მორწყვა ამ გვარი საგუბრებიდამ წელაწადში ჯდება 4 მანეთი; ამ ხარჯში ჩაგდებულია თითონ საგუბრის გაკეთების და შენახვის ხარჯიცა...

კარგია აგრეთვე გაპოხიერება ურწყავი კორდებისა ნეხვით, ნაცრით, კირით, დამპალი ბალახ-ბულახით და მისთანებით; ნეხვი შემოდგომობით უნდა მოაყაროთ თანასწორად სათიბებს და დანარჩენები კი უმჯობესია—გაზაფხულობით.

დასასრულ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ აქ ცნობა, თუ როგორ მოკეთდნენ მეურნენი საფრანგეთში.

ამ ოთხმოცი წლის წინად გამოჩნდა საფრანგეთში ერთი მეურნე, სახელად **დომბალი**, რომელმაც თვით საქმით

დაარწმუნა თავისი სოფლის გლეხები, რომ საქონელს მინ-დორში და საძოვარზე ნუ ატარებთო, შინ იყოლიეთო და, რაც ბალახი და თივაა იმათთვის საჭიროო, თქვენს მინდვრებზე მოიყვანეთო და ის აჭამეთო: რამდენიც საჭირო იყოს—ზაფ-ხულში აჭამეთო ნედლად, ყოველ დღე ახლად **გ**ათიბულიო **დ**ა რაც გასათიბად მოიწიოსო, ის **გ**ათიბეთ **დ**ა თივად დად-გეთო საზამთროდ. ამით თქვენ **ნეხვსაც მეტს და კარგს მიიღებთო** *), რომლითაც თქვენს სიქა-გამოლეულ მინდვ-რებს ძალას დაუბრუნებთო და საქონელიც ერთი-ორად იმა-ტებს ხორცშიაც, ჯანშიაც და რძის მოცემაშიაც. ეს იმი-ტომა, რომ შინ საქონელი მუდამ თქვენი საკუთარი თვალის მხედველობის ქვეშ გეყოლებათო, უკეთეს საკვებს მისცემთო და უკეთესათაც მოუვლითო; მინდორში კი საქონელი უპატ-რონოდ დაეხეტება, კარგს და საკმაო საკვებს მოკლებულია და ძლიერაც იღლება გამუდმებული სიარულით და თავ-დახ-რითო. გაგონილი გექნებათო, რომ შინ ნაკმევი ცხენი შე-გიძლიანთ ღღეში ათი, თორმეტი საათი ამუშაოთო და მინ-დორში გაშვებული-კი 6—7 საათსაც ვერ გასწევსო...

დაუჯერეს გლეხებმა და, მართლაც, ისე მოაწყეს საქმე, რომ ორიოდე წელში სრულიად აკრძალეს საქონლის მინდვ-რად ტარება და ყველას შინ ჰყვანდა ზამთარ-ზაფხულ. და ხოლო ამ ერთმა უბრალო საშუალებამ ისე გააკეთა იმ სოფ-ლის გლეხები, რომ მათი ცხოვრების და მეურნეობის წეს-რიგი მალე მთელს საფრანგეთში გავრცელდა. ეს წესი იყო:

1) ნახევარს მამულში მუდამ სთესენ ის მცენარეები, რომ-ლებიც საჭირონი არიან შენი საქონლისათვის და ფრინვე-ლისათვის და მოსავალი მისი სულ მთლად მათ მოახმარე, ნურასოდეს ნუ გაჰყიდი; გაჰყიდე მარტო თითონ საქონლისა-გან და ფრინვლისაგან გამოსავალი, ე. ი. რძე, კარაქი, ერბო,

*) რადგან საქონელი მუდამ შინ გეყოლებათო, ზამთრობით—გო-მურებში და ზაფხულობით ეზოში, სადმე თავისუფალ კუთხეში.

ხაკო, დო, ყველი, კვერცხი, რადგანაც ასე მოხმარება მოსავლისა მარად უფრო მეტს სარგებელს იძლევა, ვიდრე ხალასი მცენარეების გასყიდვა, და

2) ხოლო დანარჩენი ნახევარი მამულისა მოიხმარე დასათესად იმ მცენარეებისა, რომლებიც საჭიროონი არიან შენთვის და საზოგადოთ, ადამიანისათვის (პური, ქერი, სიმინდი, ფეტვი, ღომი, ნესვ-საზამთრო, საბოსტნე მცენარეები, ბალ-ვენახის მოსაშენებლად და სხვ.) უბრალო და მარტივი წესებია ხომ ეს წესები, მაგრამ მთელი სასწაული-კი მოახდინეს მათ საფრანგეთში: მათის წყალობით იქ ახლა მიწა იძლევა ხუთჯერ და ათჯერ მეტ მოსავალს!..

———

რომ კარგად გასინჯოთ რომელიმე სათიბი ანუ კორდი, ნახავთ, რომ იგი შესდგება 20—30—40 სხვა და სხვა ბალახებისაგან, რომელთა შორის საქონლისათვის გამოსადეგია მხოლოდ 10—15, დანარჩენი კი უვარგისი და შხამიანი ბალახებია. ჩვენი ვალია ვეცადოთ, რომ ჩვენს სათიბებში იზრდებოდეს მარტო კარგი და შემრგო ბალახები და არც ერთი უვარგისი და შხამიანი. სათესად გამოსადეგი ბალახები ბევრნაირია, მაგრამ ამ წიგნში ჩვენ ვილაპარაკებთ მხოლოდ ერთ მათგანზე, საუკეთესოზე. ეს არის ალავერდა ბალახი ანუ როგორც რუსები ეძახიან **ლიუცერნა** და ჩვენც მასზე გადავიდეთ.

ალავერდა ბალახის (ლიუცერნას) თესვა-მოყვანა.

რაც უნდა პატარა მამული ჰქონდეს სოფლელს, საჭიროა, რომ მას რამდენიმე სული ძროხა ჰყვანდეს. გაგონილი გექნებათ, რომ ჩვენი მამა-პაპები გაცილებით უფრო შეძლებულნი ყოფილან, არც თითონა ჰკლებიათ უხვი ჭამა-სმა და არც იმათ ცოლ-შვილსა. ამისი მიზეზი კი უმთავრესად ის ყოფილა, რომ მათ უყვარდათ საქონლის ყოლა, რადგა-

ნაც მაშინ ბალახიც ულანგარიშო იყო მინდორ-ტყეებში და არც იმდენ ზრუნვას და ხარჯს თხოულობდა საქონლის ყოლა. მრავალ-საქონლიანი ოჯახი კი მუდამ ღონიერი და შეძლებულია: აიღეთ მარტო ის ამბავი, რომ სადაც საქონლია, იქ რძე და ერბოც არის, ხოლო სადაც რძე და ერბოა, იქ ყველი და ქადა-ნაზუქიც არის და, მაშასადამე, არის რით გამოჭკვებო და გამოზარდო შვილები... ახლა? რძეს თვალითაც ვეღარ ხედავენ ჩვენი შვილები და ქადა-ნაზუქი და ერბო ხომ სულ სანატრელიც გახდა მათთვის!.. მჭადი და ქერი, აი რამ დაიპირა ქადა-ნაზუქის ადგილი და ხშირად ხომ ესეც ენატრებათ საწყლებს! სულ კი იმისაგან, რომ დავივიწყეთ საქონლის ყოლა, საქონლის ლოლიობა... როცა ელაპარაკები ამაზედ ქართველ სოფლელსა, ის მოგიყვება ჩვენს, რომ მინდორი და საძოვარი-სათიბები არა გვაქვსო და საქონელს საიდან შევინახავთო, მაგრამ ეს მართალი არ არის. ბევრ ჩვენ სოფელს მინდვრები და საძოვრები-სათიბებიც აქვთ, მაგრამ ბევრს მეოჯახეს ხაქონელი მაინც არა ჰყავთ. ეს კი იმიტომ, რომ ჩვენი სათიბები ან სულ არ იძლევიან თივასა და თუ იძლევიან, ისე ცოტასა, რომ გასათიბათაც არა ღირს... მთელი ჩვენი შრომა და ზრუნვა ამ ჟამად მარტო ხვნა-თესვაზე ან ბალ-ვენახების მოვლა-გაშენებაზე მიდის და იმას კი არა ვფიქრობთ, რომ უსაქონლოდ, უნეხვოდ ვერც ხვნა-თესვა და ვერც ბალ-ვენახი შეგვძენს რამე სიკეთესა. ამიტომ, თუ გვინდა, რომ ფეხზე დადგეს ჩვენი ოჯახი, ჩვენი მეურნეობა, უნდა შევუდგეთ საქონლის მომრავლება-მოშენებას, ხოლო ამისათვის კი საჭიროა, რომ საქონლისათვისაც ისე ვთესოთ ბალახი, როგორც ჩვენთვის ვთესავთ პურსა და სიმინდსა. საუკეთესო ბალახს იძლევა ალავერდა-ბალახი (ლიუცერნა) და ამიტომ ვილაპარაკოთ ახლა იმაზე, თუ სად და როგორ უნდა ვთესოთ ეს ბალახი.

———

ალავერდა-ბალახს უყვარს ისეთი მივარდნილი ალაგები,

როგორიც არის, მაგალითად, ღობეების დაყოლება, უყვარს გრილი, უმზეო ადგილები, სადაც ჩვენში მომეტებულად იზრდება ჭინჭარი და სხვა ბალახ-ბულახი. ამასთან, ალავერდა-ბალახი ისეთი დალოცვილი ბალახია, რომ ერთხელ დათესილი, შეგიძლიანთ მთელი ათი-თორმეტი წლების განმავლობაში სთიბოთ ხუთჯერ-ექვსჯერ თვითოეულ ზაფხულში!.. დიახ, მხოლოდ ათი-თორმეტი წლის შემდეგ სჭირდება მას ადგილის გამოცვლა და ხელ-ახლად დათესვა!.. თუ სადამდის სარფაა ალავერდა-ბალახის თესვა-მოყვანა სჩანს იქიდან, რომ ერთ დღიურს შეუძლიან მოიცეს ხუთასი-ექვსასი ფუთი საუკეთესო თივა. იანგარიშეთ ფუთი აბაზათ ან ექვს შაურად და გამოვა ათი-თხუთმეტი თუმანი დღიურზე შემოსავალი. მაგრამ, აქ იმდენათ ფასი და შემოსავალი არ არის სახარბიელო, რამდენათაც ის, რომ იონჯა იზრდება კარგად იქ, სადაც პური თუ სიმინდი სულ არაფერ მოსავალს არ იძლევა, ე. ი. სრულიად გამოფიტულ, სრულიად მოღლილ მიწაზედაც. ეს იმიტომ, რომ ალავერდა-ბალახი ისე ღრმად უშვებს თავის გრძელ, ორ-სამ საჟენიან, ძირებს მიწაში, და ისე აკეთებს და ასუქებს ამ გამოფიტულს მიწასა, რომ ათი-თორმეტი წლის შემდეგ, ეს მიწაც კვლავ გამოდგება პურისა, ქერისა თუ სიმინდის და ფეტვის დასათესად ან ბალ-ვენახის გასაშენებლად.

ახლა, როგორ უნდა დავამუშაოთ მიწა ალავერდა-ბალახის დასათესად? თუ ადგილი ფართო და დიდია, მოხანით შემოდგომაზედვე გუთნით, ხოლო თუ საგუთნედ უხერხულია, დაბარეთ, რომ ზამთრის სიცივემ და ყინვებმა დაშალოს და აეფხვიეროს მიწა და დახოცოს ამობრუნებული ჭია-ღუა და მათი თესლი. შემდეგ, ზამთარში, შეუდაქით ალავერდა-ბალახის თესლის შოვნას. ამისათვის უკეთესია მიმართოთ პირადათ ანუ წერილით თბილისში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას. დადგეს გაზაფხული თუ არა, დათესეთ ალავერდა

ისე სქლად, როგორც მიღებულია ჩვენში ფეტვის თესვა, დაახლოვებით ერთი ან ერთ ნახევარი ფუთი დღიურზე ანუ ორი სამი ფუთი—დესეტინაზედ და დაფარცხეთ ანუ მოასწორეთ ფოცხით, რომ მიწამ კარგად დაჰფაროს თესლი. რა წამსაც ათბება, თქვენ ნახავთ, რომ ალავერდა ამოვა და იწყებს აჩქარებით ზრდას. პირველ ზაფხულს ის მოგცემთ მცირე ბალახს, რადგანაც მარტო ერთხელ გასთიბავთ. მაგრამ მეორე წლიდგან კი, როცა ძირები კარგად გაუმაგრდება და გაედგმება მიწაში, იგი მოგცემთ ხუთ-ექვს მოსავალს, დიდძალ ბალახს. პირველ წელიწადს უნდა ეცადოთ, რომ ალავერდას ნათესში არამც და არამც არ შეუშვათ საქონელი რომელიც, გარდა იმისა, რომ გასთელავს ნორჩ ბალახსა, მოძოვნის დროს სულ ძირიანათაც ამოაგდებს მას, რადგანაც ამ დროს მას ჯერ კიდევ არა აქვს ძირი კარგად გამაგრებული და გამდგარი მიწაში. აგრეთვე არ უნდა დაიაკლოთ ალავერდას, რომ პარკი და თესლი გაიკეთოს, თორემ მეორე წელიწადს სუსტად გაიზრდება, არამედ იწყობს აყვავების თუ არა, უნდა გათიბოთ. სათესლედ ალავერდა უნდა გაუშვათ მარტო მესამე ანუ, რაც უფრო უმჯობესია, მეოთხე წელიწადს. ერთ დღიურს შეუძლიან მოგცეთ 15 ფუთი თესლი. მართალია, ფუთი ოინჯის თესლისა ზოგჯერ თორმეტი მანეთიც ფასობს, მაგრამ უმჯობესია ფულებს თავი არჩიოთ და სათესლედ კი მარტო იმდენი ადგილი დასტოვოთ (სჯობია პირველ გათიბვის მერე), რამდენიც საკმაო იქნება თვით თქვენთვის...

ახლა, როგორ უნდა მოხვნა ალავერდა-ბალახისათვის დანიშნულ ადგილს და შემდეგ დათესვა? აი როგორ: ის მინდორი, რომელიც უკვე აღარ ვარგა პურისა თუ სიმნდის დასათესად, მოხანით რაც შეიძლება ადრე შემოდგომაზედ, როცა დედამიწა ჯერ კიდევ მშრალია, რადგანაც სიმშრალეში ნახნავი კარგად გამოშრება ხოლმე და ბალახ-ბულახთა ძირებიც ჩქარა ხმება. გაიმეორეთ მოხვნა ზამთრის ბოლოსაც და

შემდეგ, რა წამხაც აიღოს თოვლმა მოასწორეთ ფარცხით და დასთესეთ ალავერდა ხელით ანუ დასათესი მანქანით სქლად, როგორც ჩვენში ფეტვის დათესვა იციან. დესეტინაზედ საკმაოა, ორი ფუთი თესლი, მაგრამ უფრო კარგი იქნება, თუ სამს ფუთს შეახმარებთ. შემდეგ დაფარცხეთ კარგად ფარცხით ანუ ფოცხით, რომ თესლი ნახეკარ ან სამ მეოთხედ ვერშოკზე ჩაიმალოს მიწაში და საქმე გათავებულია: თესლი ამის შემდეგ კარგად და თანაბრად ამოვა.

ზოგიერთნი ალავერდა-ბალახთან ერთად სთესენ ქერსა ანუ პურსა, რომ პირველ წელიწადს დაჩრდილოს ალავერდას ჯეჯილი, მაგრამ ეს კარგი არ არის და ჩვენ ვურჩევთ სთესონ მარტო ალავერდა, რადგანაც ის თავის-თავად უფრო თამამად ამოდის და კარგადაც იზრდება. ამოსვლის შემდეგ, ერთხელ-ორჯელ დაჰხედეთ ალავერდას ჯეჯილს და რაც კი უბრალო ბალახი შენიშნოთ, გამარგლეთ, მერე კი აღარ უნდა გამარგვლა, რადგანაც ალავერდა რაკი მოიზრდება, თითონვე ამოახრჩობს სხვა ყოველ ბალახს, მორევით მას ვერა სხვა ბალახი ვერ მოერევა, რადგანაც ალავერდას ძირი იზრდება სამ საჟენზე სიღრმით და ზოგჯერ მეტზედაც.

მეორე წელიწადს, გაზაფხულზედ, როცა მიწა მოშრება, ალავერდა უნდა კარგად მოფარცხდთ, რომ ცოტათი აუჩვილოთ მიწა და მიასწორ-მოასწოროთ დედამიწის ნახეთქი ადგილები. ამის შემდეგ ალავერდა იწყებს თამამად გაზრდას და აპრილში უკვე შეგიძლიანთ გათიბოთ პირველად. მაგრამ გათიბვა მაშინ კი არ უნდა დაიწყოთ, როცა მთელი ნათესობა იწყებს აყვავებას, არამედ მაშინ, რა წამსაც შეამჩნიოთ, რომ ალავერდა უკვე ყვავის აქა-იქ...

ახლა, როგორ უნდა ალავერდა ბალახს თიბვა და გახმობა-მოგროვება? გათიბვა შეიძლება გნებავთ ცელით, გნებავთ ნამგლით, ოღონდ მთიბავებს უკან უნდა მიჰყვებოდნენ სხვა მუშები, რომ აგროვონ გათიბული ბალახი ადგილ-ად-

გილ იმდენ-იმდენი, რაც აიღება ორთითით ერთ ჯერად. ასე ამიტომ უნდა მოიქცეთ, რომ თუ გათიბული ბალახი მაშინვე არ დაგროვეთ პატარა-პატარა ბულულებად, ალავერდას ფოთოლი რომ შეახმება, შემდეგ აგროვებაში სულ გასცვივა და მარტო ცარიელი კლერტები-ღა დაგრჩებათ. შემდეგ, როცა ალავერდა-ბალახი ასეთ პატარა-პატარა ბულულებში საკმაოდ შეკუნება, იგი ახლა უფრო მოზრდილ ბულულებად დადგით, დააცადეთ, რომ სრულიად გახმეს და მაშინ თვით თივის ძირებთაც დადგით. ოღონდ თივის ძირები თავის დღეში არ უნდა დადგათ თითონ ალავერდას ნათესში, რადგანაც ის ადგილი, სადაც თივას დასდგამთ, დაიწვები და ალავერდა ადარ მოვა, აღარ გაიზრდება.

———

ახლა, როგორ უნდა ალავერდას სათესლედ მოყვანა და თესლის აღება? რა წამსაც დაინახოთ, რომ ალავერდა იმ ადგილში, საიდამაც გნებავთ აიღოთ თესლი, აყვავება დასრულდა და თესლმა მოშავო ფერი მიიღო, თქვენ უნდა შეუდგეთ ალავერდას მომკას ნამგლით და შეკრათ პატარა-პატარა ძნებად, რომლებიც იქვე უნდა დაიყენოთ, სანამ სრულიად გახმებოდნენ, ხოლო გახმობის უმალ, შეგიძლიანთ შეუდგეთ გალეწვასაც—ჯოხით ანუ საგორავით თუ ჩვენებური კევრებით. ალავერდას ბზე ანუ ბურდო საუკეთესო საჭმელია საქონლისათვის და ამიტომ უნდა გაუფრთხილდეთ, რომ მას მიწა ან ქვიშა არ შეჰყვეს. საუკეთესო ალავერდა-ბალახად ითვლება ფრანგული და თურქესტანული. საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში და სხვა დაწინაურებულ სახელმწიფოებში და აგრეთვე ტურქესტანში, იშვიათიდ ოჯახი, რომ ალავერდას ბალახს არა სთესავდნენ თავიანთი საქონლისათვის...